# ხელშეკრულება № 3 946

*ქ. თბილისი* *05 იანვარი 2015 წელი*

ერთის მხრივ **შ.პ.ს "ჯორჯიან ექსპრესი"** საერთაშორისო საკურიერო სამსახური "DHL"-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, შემდეგში წოდებული როგორც "DHL" **მისი დირექტორის ეკატერინე არველაძის** სახით, და მეორეს მხრივ **სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი** მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **ბ-ნ გელა ბერიძის** სახით შემდგომში "შემკვეთი" შეთანხმდნენ შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი:*

1.1. დოკუმენტაციის, მცირე და საშუალო ტვირთების ჩაბარება **საქართველოს ტერიტორიაზე, "DHL"-ის მომსახურე პუნქტებში, კარიდან-კარამდე სერვისით.** ტვირთების ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი საგანი ან ნივთი, რომელიც შეფასებულია და გააჩნია ღირებულება. "DHL"-ის მიერ გასაგზავნად მიიღება ნებისმიერი საგანი ან ნივთი, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

1.2. აღნიშნულ მომსახურებას **"DHL"-ი** შეასრულებს როგორც პირადად, ასევე სუბკონტრაქტორის (სხვა ექსპედიტორის) მეშვეობით, კლიენტთან შეთანხმების გარეშე.

## *2. გზავნილების მიღება*

2.1. გზავნილების მიღება ხორციელდება:
"DHL"-ის კურიერის უფასო გამოძახებით "შემკვეთის" ოფისში ტელეფონის საშუალებით (ტ. 69-60-60), წინასწარ შეთანხმებულ პირთან და შეთანხმებულ მისამართზე. კურიერის გამოძახება გზავნილების ასაღებად უნდა მოხდეს დღის განმავლობაში არაუგვიანეს 16:30 საათისა, ხოლო შეტყობინება გამოძახებაზე კეთდება მინიმუმ 1 საათით ადრე.

2.2 „ გზავნილების მიღების დღეები:
ა) გზავნილების მიღება სამუშაო დღეებში დილის 10.00.-დან 18.00.-მდე.
ბ) შაბათს გზავნილების მიღება 10.00.-დან 13.00.მდე.

## *3. დამატებითი მომსახურება*

"DHL"-ის მხრიდან დამატებით უფასო მომსახურეობაში შედის:
ა) კურიერის გამოძახება "შემკვეთის" ოფისში ან მის მიერ მითითებულ ადგილას.
ბ) "DHL"-ის სტანდარტით გათვალისწინებული შესაფუთი საშუალებებით უზრუნველყოფა.
*გ)* ინფორმაციის მიწოდება გზავნილების შესახებ მისი გადაადგილების მთელ მარშრუტზე.

## *4. მხარეთა ვალდებულებები:*

4.1.„შემკვეთი" პასუხს აგებს ყველა იმ ხარჯისა და ზიანისათვის, რომლებიც დადგა იმის გამო,რომ არასწორად ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი:

ა) მიმღების ზუსტი დასახელება და ზუსტი მისამართი;
ბ) ტვირთის სახეობის ჩვეულებრივი სახელწოდება და შეფუთვის სახე, საფრთხეშემცველი ტვირთის დროს, მათი საყოველთაოდ აღიარებული აღნიშვნა;
გ) გადასაზიდი ტვირთის რაოდენობა, ნიშნები და ნომრები.
დ) ტვირთის ღირებულება და მიწოდებისადმი განსაკუთრებული ინტერესის აღნიშვნა.

4.2. DHL-ის პასუხისმგებლობა ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება, ნებისმიერ ცალკეულ ტვირთის ღირებულებით. თუ "შემკვეთი" ჩათვლის ზემოაღნიშნულ ანაზღაურების დადგენილ ზღვრებს არასაკმარისად, მან დამოუკიდებლად უნდა დააზღვიოს ტვირთი. წინააღმდეგ შემთხვევაში ტვირთზე ზარალის რისკი გადადის "შემკვეთზე".ნებისმიერი სხვა სახის ზარალს (როგორიც არის პროცენტული ამონაგები, საქმიანი პერსპექტივა და სხვა სიდიდეები) მიუხედავად იმისა არის ეს ზარალი პირდაპირი თუ არაპირდაპირი, და/ან იმ შემთხვევაშიც კი თუ DHL-ს ეცნობა ზარალის შედეგად გამოწვეული ან მოსალოდნელი რისკის შესახებ ტვირთის მიღებამდე ან მიღების შემდეგ, DHL არ ანაზღაურებს, რადგან "შემკვეთი" უფლებამოსილია თავად განახორციელოს განსაკუთრებული რისკების შედეგად გამოწვეული ზარალის დაზღვევა.

GEORGIA EXPRESS 20195
245623496

4.3. „შემკვეთს" შეუძლია დათქმულ ტარიფზე დანამატის გადახდის საფუძველზე,რომელიც განისაზღვრება მხარეთა მოლაპარაკებით, ყოველი კონკრეტულ შემთხვევისათვის, ზედნადებში აღნიშნოს თავისი განსაკუთრებული დაინტერესება ამ გადახიდვით.
4.4. ცალკეულ ტვირთზე არ უნდა განცხადდეს ერთ პრეტენზიაზე მეტი, ამასთან განხორციელებული ანგარიშსწორება უნდა ჩაითვალოს როგორც სრული და საბოლოო მთლიან ზარალზე.
4.5. "DHL" გააჩნია გირავნობის უფლება მთელ ტვირთზე, ყველა იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც წარმოიშვება "შემკვეთის" მიერ, არსებული ხელშეკრულების ან შეთანხმების არასათანადოდ შესრულების შედეგად.
4.6. "DHL" არ ანაზღაურებს ზიანს გამოწვეულს ტვირთის დაზიანებით, რომელიც გამოწვეული იქნება გამგზავნის მიერ ტვირთის არა სათანადო შეფუთვით.

### *5. ხელშეკრულების კოორდინაცია*

5.1. მხარეები "DHL" და "შემკვეთი" ნიშნავენ პასუხისმგებელ თანამშრომლებს, რომლებიც კოორდინაციას უწევენ ყველა საკითხს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.
"DHL"-ის მხრიდან ელენე ხმელიძე 599938087
"შემკვეთის" მხრიდან **იამზე ჩიჩუა 593 35 96 58**

### *6.მომსახურების ღირებულება და გადახდის პირობები:*

6.1. შემკვეთი განახორციელებს ტვირთების გადაზიდვის საფასურის ანგარიშსწორებას ტვირთის ფაქტიური ან მოცულობითი წონის უმეტესი მნიშვნელობიდან გამომდინარე, თანაც ნებისმიერი ტვირთი გამოთვლის და აწონვის სისწორის დადასტურების მიზნით შეიძლება დაექვემდებაროს DHL-ის მიერ, ოფისში განმეორებით აწონვას და აზომვას.

6.2. "DHL"-ის მომსახურეობის ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, რომლის შემთხვევაშიც "შემკვეთი" ანგარიშსწორებას ახდენს წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული "DHL-"ს საბანკო ანგარიშზე. DHL -ის მიერ ყოველთვიურად წარდგენილი ანგარიშების საფუძველზე. ანგარიშსწორება უნდა მოხდეს ანგარიშფაქტურის მიღებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.
6.3. ანგარიშსწორება ხდება ეროვნულ ვალუტაში.
6.4 ტარიფების შეცვლის შემთხვევაში, "DHL" იღებს ვალდებულებას აღნიშნულის შესახებ 10 დღით ადრე შეატყობინოს "შემკვეთ"-ს.
6.5 დანართში № 1 ტარიფები მოცემულია დღგ-ს ჩათვლით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

### *7. ზოგადი პირობები*

ყველა კომერციული, ტექნიკური და სხვა სახის ინფორმაცია ან მონაცემები მიღებული ერთი მხარის მიერ მეორე მხარისაგან მკაცრად კონფიდენციალურია. ორივე მხარე ვალდებულია მოეკიდოს მას, როგორც საკუთარს და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას ამ ვალდებულების დარღვევა.

### *8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:*

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 12 თვე მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
8.2.. თუ ხელშეკრულების ვადის გასვლისას არც ერთმა მხარემ არ გამოთქვა სურვილი მისი შეწყვეტის შესახებ, მაშინ იგი გრძელდება იმავე ვადით. იგივე წესი გამოიყენება ყოველი მომდევნო ვადის გასვლისას.

### *9.. ფორს-მაჟორი*

9.1 მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე "ხელშეკრულებით" განსაზღვრული მათი მოვალეობების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის და მათი დაგვიანებით შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან, თუ ხსენებული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
9.2 ფორს-მაჟორული გარემოებები მოიცავს: ომებს, გაფიცვებს, სამოქალაქო დაუმორჩილებლობებს, მიწისძვრებს, ხანძრებს, შტორმებს, მეწყერებს, წყალდიდობებს, იმ სახელმწიფო დაწესებულებების და ადმინისტრაციის მიერ კანონმდებლობის თუ სამართლებრივი აქტების მიღებას, სადაც სრულდება გადაზიდვა.

245628496

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, დაზარალებული მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულზე ფორს-მაჟორის დადგომის თარიღის და ხასიათის მითითებით 7 (შვიდი) დღის განმავლობაში.

## *10. დასკვნითი დებულებები:*

10.1 ნებისმიერი სადაო საკითხი გადაწყდება მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

10.2. სამართლებრივი მოვალეობების შესრულების ადგილია ქ. თბილისი და მოქმედად ითვლება საქართველოს კანონმდებლობა.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

## *იურიდიული მისამართები:*

*შემკვეთი*
*სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი*
*ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. 37*
*საინდეტიფიკაციო კოდი№ 245628496*
*სს „თიბისი ბანკი"*
*ბანკის კოდი* TBCBGE22
*ტელ: 27 98 95*
*მობ. 558 39 56 71*
*ფინანსური ელფოსტა:* ***info@batu.edu.ge***

*შ.პ.ს „ჯორჯიან ექსპრესი"*
*საქართველო,თბილისი, წერეთლის გამზ.№105 0119*
*საინდეტიფიკაციო კოდი№ 201954965*
*სს „საქართველოს ბანკი"*
*ბანკის კოდი* BAGAGE22
*ანგარიშის №* GE70BG0000000391050200

*ადმინისტრაციის ხელმძღვანელი*
*გელა ბერიძე* _____

*დირექტორი:*
*ეკატერინე არველაძე* _____